პროფკავშირთა საკავშირო

სპარტაკიადაზე

ქართველი სამბისტები — ჩემპიონები

მოსკოვი, 3 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს სამბისტები რვავე წონით კატეგორიაში ფინალში მოხვდნენ. ჩვენმა ფალავნებმა არც აქ შეირცხვინეს თავი და ოქროს 4 მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ ლ. კაციაშვილი (უმძიმესი წონა), ბ. ბალაკაშვილი (საშუალო) და ა. ზურაბაული (ქვემძიმე). ფ. ჩიკვილაძე (მძიმე) II ადგილზეა.

ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს შ. ფიცხელაურმა (მჩატე) და რ. მაღალთაძემ (ქვემსუბუქი).

ო. მურიაური (მსუბუქი) და ი. ქვლივიძე (ქვესაშუალო) IV ადგილებზე გავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სამბისტებმა (უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი) ბევრად გაუსწრეს მოსკოვის გუნდს და I ადგილი მოიპოვეს (18 საჯარიმო ქულა 31,5-ის საპირისპიროდ). III ადგილზე არიან მოლდაველი სამბისტები — 37,5.

ტურიზმი მასების სპორტია. ჩვენს ქვეყანაში მას მილიონობით ადამიანი მისდევს. საქართველოს ზღაპრული ბუნების წიაღი კი განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარებისთვის. ჩვენი გაზეთის მეორე გვერდი საქართველოს ტურისტულ მოძრაობაზე მოგვითხრობს...

ფოტო დ. ჩიხელისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 152 (2872) ● ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ჩვენი კალათბურთელი ქალების „ვერცხლი"

მოსკოვი, 3 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ტაჯიკეთის ცნობილ სპორტსმენს ი. ჰასანოვს ახლა უკვე ოქროს 10 მედალი აქვს. მეათე, საიუბილეო, მან ამ დღეებში მოიხვეჭა პროფკავშირთა სპარტაკიადაზე. პსკოვში, სადაც ტარდება შეჯიბრება საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში, ჰასანოვმა ერთადგილიანი ბაიდარით ყველაზე ადრე დაამთავრა 10-კილომეტრიანი დისტანცია.

ტაჯიკეთს მთების ქვეყანას უწოდებენ, მაგრამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ მხარემ სახელი გაითქვა, როგორც „ზღვაოსნების" მხარემაც. პსკოვში ჰასანოვის გარდა გამოირჩეოდნენ მისი სხვა თანამემამულენი. თავი ისახელა ახალგაზრდა დუშანბელმა კანოისტმა ვ. კალიაგინმა, რომელმაც მხოლოდ ლენინგრადელ მ. ზამოტინთან წააგო და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

მაღალი კლასი უჩვენეს საბჭოთა ოლიმპიელებმა. ლენინგრადელმა ლიუდმილა ხვედოსიუკმა იოლად მოიგო ოქროს მედალი ერთადგილიანი ბაიდარებით 500-მეტრიან დისტანციაზე რბოლაში, ხოლო შემდეგ ე. გავრილოვასთან ერთად II იყო ფინიშზე ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში. ჩემპიონები გახდნენ მ. შუბინა და ნ. ლევჩენკო (რსფსრ).

ჩვენმა სპორტსმენმა ა. მანტკავამ ერთადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე ნიჩბოსნობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა — 4.25,2. საპრიზო, III ადგილზე გავიდნენ ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები — 4.02,6. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს ნიჩბოსნებმა — 45 ქულა. საქართველოს სპორტსმენები IX ადგილზე არიან — 152 ქულა.

სპარტაკიადაზე წარმატებით ყოველდღიურად გვახარებენ მოზარდებიც. 16 წლის გროზნოელმა მოსწავლემ ნატაშა ოეჩინიკოვამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მხატვრულ ტანვარჯიშში საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლი, მინსკში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე აბსოლუტური ჩემპიონის სახელი და აი, ახლა, პროფკავშირების სპარტაკიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ტრამპლინზე გამოირჩეოდა 18 წლის ბელორუსიელი მოსწავლე ლიუდმილა ზდანიუკი. „შრომითი რეზერვების" აღზრდილმა ყველა მოხიბლა მაღალი ოსტატობით და გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. აღსანიშნავია აგრეთვე ვაჟთა შორის გამარჯვებული ი. სტრახოვი (რსფსრ), რომელმაც ჩვენს ქვეყანაში პირველად შეასრულა სამმაგი სალტო.

გრძელდებოდა ფინალური შეხვედრები 100 მეტრზე ცურვაში. ვაჟთა შორის ბატერფლაით ჩემპიონი გახდა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი, მოსკოველი ვ. კუზმინი — 1.01,1. ზურგზე ცურვაში ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვა ნ. აკიშინამ (რსფსრ) — 1.13,3.

ოქროს კიდევ 4 მედალი გათამაშდა ლუჟნიკის აუზში. გამარჯვებულთა რიცხვშია სსრ კავშირის ყველაზე ნორჩი ჩემპიონი ცურვაში, 15 წლის მოსკოველი მოსწავლე თამარ სოსნოვა, რომელმაც 400-მეტრიანი დისტანცია მოიგო თავისუფალი სტილით ცურვაში — 5.01,2. დღეს სოსნოვამ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 800 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 10.20,4.

ცურვაში ლიდერობენ მოსკოველი სპორტსმენები — 43.487 ქულა. საქართველოს მოცურავეები XIII ადგილზე იმყოფებიან — 15.809 ქულა.

დღეს ჩემპიონთა ტიტულებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები და მოშაშენი, ხოლო ფინიშის ხაზი გადაკვეთეს კალათბურთელებმა და სამბისტებმა.

... როცა უკრაინისა და ლენინგრადის კალათბურთელთა დასკვნითი შეხვედრის შემდეგ ტაბლოზე „გაიყინა" ციფრები 46:35, უკრაინელმა სპორტსმენებმა ერთმანეთს მხურვალედ მიულოცეს: მათ რიგით უკანასკნელი მეტოქეც დაამარცხეს და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს.

კალათბურთელთა ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენმა ქალებმა დაამარცხეს მოსკოველები — 55:51 (25:26), ვაჟებმა კი — ყირგიზეთის გუნდი — 46:38 (26:19). ქალები „ვერცხლს" დაეუფლნენ („ოქრო" ლატვიელებს ერგოთ), ხოლო ვაჟები VII ადგილზე გავიდნენ.

საფინიშო ბიძგისთვის არიან მზად ფრენბურთელებიც. 4 აგვისტოს ფინალში დაიწყებენ ბრძოლას: უკრაინის, ლენინგრადის, მოსკოვის, რსფსრ-ს, აზერბაიჯანისა და ლატვიის ქალთა და უკრაინის, ლატვიის, აზერბაიჯანის, მოსკოვის, ყაზახეთისა და ბელორუსიის ვაჟთა ნაკრები გუნდები.

წინასწარ შეხვედრებს სიურპრიზები არ მოჰყოლია. თუმცა, აზერბაიჯანელებს კინაღამ „გზაზე გადაურბინეს" ქართველმა ფრენბურთელმა ვაჟებმა. აზერბაიჯანის გუნდმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლით გაიმარჯვა მოგება — 3:2.

თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში ორი დღის შემდეგ დაწინაურდნენ ესტონელი სპორტსმენები — 5544 ქულა. საქართველოს ხუთჭიდელები X ადგილზე არიან — 4804 ქულა.

ჩოგბურთელთა ასპარეზობის ნახევარფინალში გავიდა ივანოვა—ერმოლოვას წყვილი.

ზ. ჯაფარიძე,
ჯ. ენუქიძე.

ქალმა აჯობა ყველას

დაეცა 12 წლის რეკორდი

გუნდურში — პირველნი

საათი!

◆ პარიზი, 3 აგვისტო. გალეას თასის ბედი ახლა დამოკიდებულია ჭაბუკი ჩოგბურთელების ერთეულთა შეხვედრებზე. წყვილთა ასპარეზობაში ა. ივანოვი და ვ. კოროტკოვი დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან — 2:6, 3:6, 1:6. საერთო ანგარიში ჯერჯერობით ჩეხოსლოვაკიელთა სასარგებლოდაა — 2:1.

◆ **ბონი,** 3 აგვისტო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა საბჭოთა ჰოკეისტების გუნდი, რომელიც შედგენილია ამ ქვეყნის 11 ნაკრებისა და ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეებით. სტუმრებმა პირველი თამაში გამართეს ფიუსენში, რომლის გუნდი „ეფ ფიუსენი" ერთ-ერთი უძლიერესია დასავლეთ გერმანიაში. საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება — 6:0.

◆ ბელგრადი, 3 აგვისტო. ოჰრიდის ტბაზე გაიმართა ე. წ. „მტკნარ წყალში მარათონული ცურვის მსოფლიო ჩემპიონატი". ცუდი ამინდის (ქარი, ძლიერი ღელვა) გამო ზოგიერთმა სპორტსმენმა უარი თქვა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. ამიტომ იყო, რომ 21 მოცურავის ნაცვლად (ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარულები), ბევრი სტარტზე არ გამოვიდა, ხოლო ფინიშთან სულ 6 სპორტსმენი მივიდა. აბსოლუტური გამარჯვება მოიპოვა ჰოლანდიელმა მოცურავე ქალმა ი. დე ნიისმა. 34 კმ მან გაცურა 12 საათში, 8 წუთსა და 5 წამში.

◆ **კრეფელდი (გფრ),** 3 აგვისტო. ათჭიდელმა, 22 წლის კურტ ბენდლინმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ვაჟთა მძლეოსნურ ხუთჭიდში. აი, მისი შედეგები: რბენა — 200 მ — 21,8; 1500 მ — 4.43,7; სიგრძეზე ხტომა — 747; შუბი — 77,42; ბადრო — 44,53; საერთო ჯამში — 4016 ქულა. ბენდლინმა 10 ქულით გააუმჯობესა საბჭოთა მძლეოსნის ვ. კუზნეცოვის ძველი მიღწევა, რომელიც სექტემბერში თავისი არსებობის 12 წლისთავს აღნიშნავდა.

◆ **სოფია,** 3 აგვისტო. ბულგარეთის დედაქალაქში დაიწყო სოციალისტური ქვეყნების დინამოელი მძლეოსნების საერთაშორისო შეჯიბრება. 400 მ რბენაში გაიმარჯვა მინსკელმა მ. იტკინამ — 54,2. დიანა იორგოვა (ბულგარეთი) გადახტა 611 სანტიმეტრზე, ხოლო იოზეფ ტროუსილმა (ჩეხოსლოვაკია) მოიგო 400 მეტრზე ფინალური გარბენი — 46,6.

◆ **ბელგრადი,** 3 აგვისტო. სსრ კავშირის გუნდმა გაიმარჯვა იუგოსლავიის საერთაშორისო მრავალდღიან ველორბოლაში. 1800-კილომეტრიანი დისტანცია საბჭოთა ველოსიპედისტებმა დაფარეს 136 საათში, 47 წუთსა და 9 წამში. II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები — 136:50.08. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა იუგოსლაველმა ც. ბილიჩმა — 45:07.24. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ა. ოლიზარენკო — IV ადგილი (45:20.39).

საწყლოსნო - სათხილამურო სპორტს ჩვენს ქვეყანაში არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამას წინათ მოსკოვსახლოს, ხიმკიში გაიმართა სსრ კავშირის I ჩემპიონატი.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი თხილამურებით წყალზე სრიალში მოსკოველი ტ. როჟკოვა.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

▲ გრენობლი. საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა გაადიდოს ქალაქის ხელისუფლების ფინანსური დახმარება, რაც 1968 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ინტერესებს ემსახურება. გრენობლის მუნიციპალიტეტს მიეცემა გრძელვადიანი სესხი. ამას გარდა, ხელისუფლებამ ვალდებულებად იღო გრენობლის რაიონში გზების მშენებლობის თანხების ნახევრის ანაზღაურება.

▲ კვებეკი. ესპანელმა ხ. ოტაოლამ გაიმარჯვა კანადაში მიმდინარე „სან ლორანის" ველორბოლის VII ეტაპზე. 7 ეტაპის ჯამში ლიდერობს ბელგიელი ა. პაუველსი — 33:46.04,0.

გავიდეთ ბუნების წიაღში!

ძველი ბაზების გაახალგაზრდავება

ტურისტული ბაზების ძველი ხისა და ქვიტკირის შენობების გვერდით აღიმართნენ თანამედროვე სტილზე აგებული ახალი ოთხსართულიანი ლამაზი კორპუსები, რომელთაც ფერად-ფერადი ლოჯიები ამშვენებს. ასეთი ახალი 200-ადგილიანი კორპუსები აშენდა სოხუმისა და „სინოპის" ტურისტული ბაზების ტერიტორიაზე.

მაღლა ფერდობიდან გადმოჰყურებს შავ ზღვას ახალი ათონის ტურისტული ბაზის 200-ადგილიანი ახალი საძინებელი კორპუსი. აქ სტუმრებს დღემდე კარვებში ეძინათ. ახლა კი შენდება კიდევ ერთი მრავალსართულიანი კორპუსი და ფართო პავილიონი, რომელშიც მოთავსდება კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საცეკვაო დარბაზი და სასადილო. მათი მწყობრში ჩადგომის შემდეგ ტურისტული ბაზის ტერიტორიიდან კარვებს აიღებენ. მოეწყობა ახალი ათონის ტურისტული ბაზის ორთქლით ცენტრალური გათბობა, ბაზა ზამთრის თვეებშიც მოემსახურება ტურისტებს. კარვებს აიღებენ „სინოპის" ბაზაშიც: აქ აიგება კიდევ ერთი ახალი ოთხსართულიანი საძინებელი კორპუსი.

ახალი საძინებელი კორპუსები შენდება აჭარის ტურისტულ ბაზებშიც. 1966 წელს მწყობრში ჩადგება ციხისძირის 80-ადგილიანი და მწვანე კონცხის ტურისტული ბაზის 215-ადგილიანი ოთხსართულიანი საძინებელი კორპუსები. გაგრის ტურისტული ბაზის ორივე კორპუსს დააშენებენ კიდევ ერთ სართულს.

დამთავრდა სოხუმის ტურბაზის კულტურული გართობის პავილიონის სამსართულიანი შენობის მშენებლობა და მოპირკეთება. პავილიონში მოთავსდება 300-ადგილიანი კლუბი ფართოეკრანიანი კინოდანადგარით, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მასობრივი გართობისა და ცეკვის დარბაზი, ტურისტული კაბინეტი.

შოვის ტურისტულ ბაზაში და ბარტუზელის თავშესაფარში დაიდგა 10 სტანდარტული სახლი. ფოთის ტურისტულ ბაზაში აშენდა სასადილოსა და აბანო-სამრეცხაოს შენობა.

ბუნების წიაღში წარმტაცი მოგზაურობის შემდეგ საოცრად გემრიელია საკუთარი ხელით დამზადებული კერძი, რომელსაც კვამლის საამო სუნი დაკრავს...

ფოტოეტიუდი ო. გელაშვილისა.

400-ედ კილომეტრი...

ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში მოთავსებულია ი. ჯინჭარაძის სახელობის № 1 საქალაქო პიონერული ბანაკი. ბანაკში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკურ კულტურას. ორჯერ მოეწყო ბანაკში სპორტული ზეიმი, რომლის დროს რაზმეულებს შორის გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ პარკის დირექციისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ქების სიგელებით.

სპორტულ სექციებს ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატი ნ. ლომთათიძე. სექციებში გაერთიანებულია 60-ზე მეტი პიონერი. ამას წინათ მოეწყო ლაშქრობა მარშრუტით: ბათუმი — ნასაკირალი — ცხაკაია — ზუგდიდი — ენგურჰესი — ბათუმი. 50 პიონერმა ფეხითა და ავტობუსით გაიარა 400-მდე კილომეტრი. ლაშქრობა, ღამის თევა, საჭმლის მომზადება, სიძნელეთა გადალახვა, — ყოველივე ეს დიდხანს ემახსოვრებათ ბათუმელ პიონერებს.

რ. ბოლქვაძე.

ბათუმი.

ციფრები და ფაქტები

● **საქართველოს** პროფკავშირების ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოები და საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო 1965 წელს მოამზადებენ ნიშნოსნებს: „სსრ კავშირის ტურისტს" — 40 ათასს, III თანრიგის „სსრ კავშირის ტურისტს" — 3.000 კაცს, II თანრიგის „სსრ კავშირის ტურისტს" — 2.000-ს, I თანრიგის „სსრ კავშირის ტურისტს" — 40-ს, „სსრ კავშირის ტურიზმის ოსტატს" — სამს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ საბავშვო საექსკურსიო-ტურისტულ სადგურთან ერთად მომზადდება 5.000 ნიშნოსანი „ნორჩი ტურისტი".

ისევ მთამსვლელის ავილე ჩანთა

მიწა მზის სხივებს ვეღარ იცილებს,
ცრემლებში ცურავს ლურჯი მყინვარი;
ისევ მეძახის მთების სიგრილე
და ჭზორგავ, როგორც ზვირთი მდინარის.

ისევ მთამსვლელის ავილე ჩანთა
და სიმაღლეში მთებს ვეცილები;
ისევ და ისევ მე ვარ თამადა
კავკასიონის მთაგრეხილების.

ხან ყინულოვან ნაპრალს გავცქერი,
ხან თავს მადნება ნისლის ჯიქნები;
კლდიდან ბიჭივით ყვირის ჩანჩქერი
და ცას იპერენ რქებით ჯიხვები.

ისევ მთამსვლელის მკიდია ჩანთა,
კვლავ ყინულოვან მთას ვერკინები;
ისევ და ისევ მე ვარ თამადა
კავკასიონის მთაგრეხილების!

დანიელ ხახიაშვილი.



ტურისტული ბილიკები... რამდენ საინტერესო, დაუვიწყარ ამბავს ჰპირდებიან ისინი „ფეხით მოსიარულე რაინდებს"!.. მშობლიური ბუნების წიაღი, ისტორიის მრავლისმეტყველი ნატერფალები, თანადროულობის ღირსშესანიშნაობანი — ყველაფერი ეს ხატოვნად დაწერილ წიგნად ეშლება ტურისტული ბილიკების მიმდევართ.

აი, თუნდაც ამ სურათზე აღბეჭდილი ტრასის მოლაშქრეებს — მცხეთის ტურისტული ბაზის სტუმრებს — ეს ბილიკები ბევრ საინტერესო ამბავს ჰპირდება.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

ციფრები და ფაქტები

● **უკანასკნელ** ორ წელიწადში საწოლების რაოდენობა საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ტურისტულ ბაზებში 1200 ერთეულით გაიზარდა.

● **თვითმოქმედი** ტურისტებისთვის გაგრისა და სოხუმი-„სინოპის" ტურისტულ ბაზებში აშენდა სპეციალური ქალაქები საწოლი ფარდულებით, სასადილოებით, შხაპებითა და კულტურული გართობის პავილიონებით.

● **კავკასიონის** უღელტეხილების სამხრეთ ფერდობებზე ტურისტებისთვის აშენდა სამხრეთ ქლუხორის, ტვიბერისა და კვიშის თავშესაფრები-საძინებელი კორპუსები სამზარეულოებითა და სამრეცხაოებით.

● **საქართველოს** საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში („განთიადი", „სპარტაკი", „ლოკომოტივი", „ბურევესტნიკი", „კოლმეურნე") ჩამოყალიბდა 2600-მდე ტურისტული სექცია, რომლებშიც გაერთიანებულია 75 ათასზე მეტი მშრომელი.

● **წლეულს** მოამზადებენ 1550 კაცს — საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ტურიზმის უმცროს ინსტრუქტორებს, ინსტრუქტორებს, ტურიზმის ორგანიზატორებს, ტურისტული შეჯიბრებების მსაჯებს, ტურისტული კლუბების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

● **ზაფხულსა** და შემოდგომაზე მოეწყობა საქართველოს სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების მასობრივი შეკრებები და შეჯიბრებები ტურისტულ ორიენტირებაში. ასეთივე შეჯიბრებები მოეწყობა აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების ტურისტულ კლუბებს შორის. ამ შეჯიბრებათა შედეგები შეჯამდება ტურისტულ ორიენტირებაში საქართველოს რესპუბლიკურ პირველობაზე.

● **შემოდგომასა** და ზამთარში ქობულეთისა და მიუსერა'ს პიონერთა ბანაკების ბაზებზე იმოქმედებს 200-300-ადგილიანი ტურისტული ბაზები.

საგანგებო პლაკატები, ბუკლეტები, ფოტოსურათები...

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს დაკვეთით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცა პლაკატები: „თბილისი", „ყაზბეგი", „რიწის ტბა" და „ვარძია". პლაკატები გაფორმებულია კარგად შესრულებული ფერადი ფოტოსურათებით. მათ დართული აქვთ მოკლე განმარტებითი ტექსტები.

რუსულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოიცა აგრეთვე ბუკლეტები: გ. ქანიშვილის „მცხეთა", ვ. სიხარულიძის „აჭარის შავი ზღვის სანაპიროები", მ. ლომიძის „ბორჯომი", გ. ვახრამიშვილის სქემა-მეგზური „თბილისი".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა მალე გამოუშვებს ფერადი ღია ბარათების ორ ალბომს „საქართველოს", ფერადი ფოტოების ბუკლეტ-სუვენირებს „თბილისი" (ორი სახისა), „ბათუმი", „სოხუმი", „ქუთაისი — წყალტუბო", „გაგრა". გამოსაცემად მზადდება „საქართველოს სამხედრო გზა" და „კახეთი".

„საბჭოთა საქართველო" მალე გამოუშვებს ვ. სიხარულიძის ბუკლეტს „რუსთავი".

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო გამოსაცემად ამზადებს ფერადი ფოტოსურათებით შესრულებულ ბუკლეტებს „საქართველოს სსრ ტურისტული მარშრუტები", „თბილისი", „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები". გამოიცემა ტურიზმის სასწავლო-მეთოდური პლაკატების სერია.

საქართველოს პირველობა

ვინაიდან დაიწყო „იმედის თასის" საკავშირო გათამაშება და ბევრი ფეხბურთელი შეყვანილია რესპუბლიკის ნაკრებში, საქართველოს პირველობის მთელი რიგი შეხვედრები გადადებულია. განვლილ კვირას გაიმართა სულ 2 მატჩი.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

სტუმრებს შესვენებამდე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მათი შეტევები უშედეგოდ მთავრდებოდა იერიშის დამაგვირგვინებელ სტადიაში თავდამსხმელთა უხეირო თამაშის გამო. ამ გარემოებამ საშუალება მისცა „ლოკომოტივს" გარდატეხა შეეტანა მეორე ტაიმში. თამაში მიმდინარეობდა რკინიგზელთა უპირატესობით, რომლებმაც მოიპოვეს კიდევაც გამარჯვება.

● „დილა" (გორი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 4:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გორელი ფეხბურთელები დასაწყისიდანვე თამაშობდნენ გამარჯვების დიდი წყურვილით. პირველი ბურთი მასპინძლებმა გაიტანეს შესვენებამდე, მაგრამ მათი უპირატესობა განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მატჩის მიწურულში, როცა „მეშახტის" კარში ზედიზედ გატანილ იქნა 3 „მშრალი" ბურთი.

ზონებში...

VII ზონა: თელავი — ახმეტა 1:2, წითელწყარო — საგარეჯო 3:1, სიღნაღი — ლაგოდეხი 6:0.

VIII ზონა: ბოლნისი — თეთრი წყარო 0:2, დუშეთი — მცხეთა 2:2, ქარელი — დმანისი 3:0.

X ზონა: ლანჩხუთი — ჩხოროწყუ 1:1, აბაშა — მახარაძე 1:3.

დამთავრდა შეჯიბრებები **VI** (გაიმარჯვა **წალკამ**) და **IX** (გაიმარჯვა **ჭიათურამ**) ზონებში.

გათამაშების ცხრილები

I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 4 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა" (გორი)	17	11	2	4	28—12	24
„მესხეთი" (ახალციხე)	17	10	4	3	23—11	24
„თოლია" (თბილისი)	16	6	8	2	30—18	20
„შუქურა" (ქობულეთი)	16	7	6	3	29—23	20
„გურია" (ლანჩხუთი)	16	7	6	3	22—16	20
ხკა (თბილისი)	17	4	10	3	33—21	18
„სინათლე" (თბილისი)	16	5	8	3	24—20	18
„ცისკარი" (ცხაკაია)	17	5	7	5	19—18	17
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	18	4	8	6	17—17	16
„მეშახტე" (ტყვარჩელი)	17	6	4	7	14—22	16
„წინსვლა" (წულუკიძე)	17	5	5	7	19—33	15
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	17	4	6	7	17—17	14
„მაღაროელი" (ჭიათურა)	15	5	3	7	19—21	13
„სამეგრელო" (ზუგდიდი)	17	3	7	7	13—24	13
„განთიადი" (ბორჯომი)	16	4	4	8	16—27	12
„ბახმარო" (ჩოხატაური)	15	1	8	6	13—23	10
„მერცხალი" (მახარაძე)	16	3	4	9	17—28	10

II ქვეჯგუფი

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	12	9	2	1	35— 9	20
„აერო" (გალი)	12	7	3	2	25—12	17
„სამგურალი" (წყალტუბო)	12	6	4	2	18—10	16
„ცისკარა" (ბათუმი)	12	7	1	4	16—14	15
„სალხინო" (გეგეჭკორი)	12	7	0	5	23—16	14
„თოლია" (ფოთი)	12	5	3	4	14—12	13
„კოლხიდა" (ხობი)	10	5	2	3	14—10	12
„ფიხურა" (საჩხერე)	12	3	4	5	12—18	10
„სულორი" (ვანი)	12	2	6	4	14—21	10
„საირმე" (მაიაკოვსკი)	12	3	1	8	21—25	7
„დინამო" (ქუთაისი)	12	1	2	9	11—27	4
„დინამო" (სოხუმი)	11	1	2	8	14—34	4

„ა" კლასი

II ჯგუფი

გაიმართა „ა" კლასის მეორე ჯგუფის I და II ქვეჯგუფების ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. აი, მათი შედეგები: „სპარტაკი" (გომელი) — „თერგი" (გროზნო) 1:0, „არარატი" (ერევანი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „პოლიტოტდელი" (ტაშკენტის ოლქი) 1:1, „დინამო" (ტალინი) — „კარპატი" (ლვოვი) 0:0, სკა (ნოვოსიბირსკი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 0:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:2, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:1, „დაუგავა" (რიგა) — „ზარია" (ლუგანსკი) 1:1, „ვოლგა" (კალინინი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

უძველესი იაპონური ჭიდაობის — სუმოს ოსტატთა პირველივე გამოსვლამ მოსკოვის ცირკში მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია. მართალია, ეს ჭიდაობა ძალზე ცოტა ხანს გრძელდება. მაგრამ მას წინ უძღვის რელიგიური რიტუალი, რომლის დროს სპორტსმენები სხვადასხვა მოძრაობას აკეთებენ.

სურათზე: სუმისტი ჭიდაობის დაწყების წინ.

ფოტო ა. კონკოვისა (საკდესი).



სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ჩვენს რესპუბლიკაში შედგა ორი მატჩი: „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „ალაზანი" (გურჯაანი) — „დინამო" (კიროვაბადი).

ლიდერი გადარჩა 79-ე წუთზე

ტყიბული (ტელეფონით. ჩვენი კორ.). ადგილობრივი „მეშახტე" მასპინძლობდა ზონის ლიდერს — ნალჩიკის „სპარტაკს". ეს გარემოება თავისებურ დაღს ასვამდა მთელს თამაშს, რომელიც ერთობ პრინციპული და დაძაბული აღმოჩნდა. „ნერვების ბრძოლა" განსაკუთრებით გასდევდა პირველ ტაიმს, რომელიც, ორმხრივი შეტევის მიუხედავად, „მშრალად" დამთავრდა — 0:0.

დრამატული მოვლენები გაიშალა შეხვედრის მეორე ნახევარში, უფრო ზუსტად — ბოლო 25 წუთში. 65-ე წუთზე ტყიბულელმა ო. იობიძემ კარგად გამოიყენა სტუმრების კართან შექმნილი საგოლო მომენტი და ლიდერს ცენტრიდან მოუხდა თამაშის დაწყება — 1:0.

„მეშახტე" წინ იყო მანამდე, სანამ მატჩის დამთავრებას 11 წუთი აკლდა. სტუმრების დაჟინებული ცდა — თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის — ბოლოს სპარტაკელთა მცველმა ბ. ლიტვინოვმა დააგვირგვინა — 1:1.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა.

ზ. ჯორჯაძე.

◆

როცა თამაში იწურებოდა

გურჯაანი (ტელეფონით). „ალაზანიც" ზონის ერთ-ერთ ლიდერს — კიროვაბადის „დინამოს" ხვდებოდა. ჩვენი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში მეტოქეთა შორის არსებული სატურნირო ზღვარი მხოლოდ 2 ქულითღა გამოიხატებოდა.

სტუმრებმა თავიდანვე აგრესიულად წარმართეს თამაში და წარმატებას მიაღწიეს პირველ ნახევარშივე — 1:0.

მეორე ტაიმი გურჯაანელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ საპასუხო გოლი კარგა ხანს არ ჩანდა. დაახლოებით შუა ტაიმში „ალაზანმა" საწადელს მიაღწია. მისი თავდამსხმელის — არუთინოვის მიერ დარტყმულმა ბურთმა წონასწორობა აღადგინა — 1:1. თამაში იწურებოდა, ფრე თითქოს გარდუვალი ჩანდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე „დინამომ" გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

1:2 — „ალაზნის" სამწუხარო დამარცხება.

პ. ენუქიძე.

●

„კოლხიდის" მწვრთნელი

ფოთის „კოლხიდას" ჰყავს ახალი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მინაევი.

„ბ" კლასი

აგვისტოს კალენდარი საქართველოს გუნდებისათვის

7. „დინამო" (სტავროპოლი) — „კოლხიდა" (ფოთი), „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „დინამო" (სოხუმი), „უროჟაი" (მაიკოპი) — „დინამო" (ბათუმი), „შრომითი რეზერვები" (კისლოვოდსკი) — „ენგური" (ზუგდიდი), „ფოლადი" (სუმგაითი) — „ალაზანი" (გურჯაანი), „მეტალურგი" (რუსთავი) — „დინამო" (კიროვაბადი), „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე).

11. „დინამო" (სტავროპოლი) — „ენგური", „ცემენტი" — „დინამო" (ბათუმი), „უროჟაი" — „დინამო" (სოხუმი), „შრომითი რეზერვები" — „კოლხიდა", „ალაზანი" — „მეტალურგი", „მეშახტე" — „დინამო" (მახაჩყალა).

15. „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (ბათუმი), „ცემენტი" — „ენგური", „უროჟაი" — „კოლხიდა", „შრომითი რეზერვები" — „დინამო" (სოხუმი), „მეშახტე" — „დინამო" (ბაქო).

20. „მეტალურგი" — „უროჟაი", „ალაზანი" — „შრომითი რეზერვები", „დინამო" (სოხუმი) — „ლერნაგორცი" (კაფანი), „კოლხიდა" — „შირაკი" (ლენინაკანი), „ენგური" — „ლორი" (კიროვაკანი), „დინამო" (ბათუმი) — „მეშახტე".

24. „მეტალურგი" — „შრომითი რეზერვები", „ალაზანი" — „უროჟაი", „დინამო" (სოხუმი) — „შირაკი", „კოლხიდა" — „ლერნაგორცი", „ენგური" — „მეშახტე", „დინამო" (ბათუმი) — „ლორი".

28. „დინამო" (სტავროპოლი) — „მეტალურგი", „ცემენტი" — „ალაზანი", „დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (კიროვაბადი), „კოლხიდა" — „მეშახტე", „ენგური" — „ლერნაგორცი", „დინამო" (ბათუმი) — „შირაკი".

მძლეოსნობა

„...პირველად აგებს საბჭოთა მძლეოსნებთან."

უცხოეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირ — აშშ-ის მძლეოსანთა მატჩში საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებას.

„რუსებმა გაანადგურეს ამერიკის შეერთებული შტატები სარბენ ბილიკზე", — პირველ გვერდზე გადაჭიმული ასეთი სათაურით გამოვიდა „ვაშინგტონ პოსტის" ორშაბათის ნომერი. მსგავს სათაურებს ხმარობენ სხვა ამერიკული გაზეთებიც: „შეერთებული შტატების ვაჟთა გუნდი პირველად აგებს საბჭოთა მძლეოსნებთან. ანგარიშია 118:112" („ნიუ-იორკ ტაიმსი"), „მძლავრ ფინიშს პირველად გაჰყავს რუსეთი წინ ამერიკის მძლეოსან ვაჟებთან შეხვედრაში" („ბალტიმორ სანი"), „რუსები სწორ გზაზე დგანან — შეერთებული შტატების მძლეოსან ვაჟთა პირველი საერთაშორისო ფიასკო" („ვაშინგტონ ივნინგ სტარი").

ფრანგი კომენტატორები კიევის მატჩის აღწერისას არ ზოგავენ აღფრთოვანების სიტყვებს: განსაკუთრებული, სენსაციური, ტრიუმფალური, შესანიშნავი, დიდებული.

„სსრ კავშირის გამარჯვება — რაციონალური მომზადების გამარჯვებაა", — წერს „პარიზიენ ლიბერე". „ამერიკელი ჩემპიონების უდავო დამარცხება... მძლეოსნობაში ბოლო წლების ყველაზე სენსაციური სიურპრიზი. კიევი, 1965 წელი — ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ვაჟთა გუნდის პირველი დამარცხება", — წერს „ეკიპი".

„ოლიმპიური წლის შემდეგ კიევის მატჩის ანგარიში ყველაზე დიდი სენსაციაა", — აცხადებს დასავლეთგერმანული გაზეთი „გენერალ-ანცაიგერი". გფრ-ის მეორე გაზეთი „ნოიე რაინ-ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ ამერიკელებმა დამარცხება იმ სახეობებში განიცადეს, რომლებშიც ყველაზე მეტად ელოდნენ გამარჯვებას.

„რუსების ტრიუმფი აშკარა იყო, — აცხადებს ფინური გაზეთის „ჰუვუდსტადსბლადეტის" კიეველი კორესპონდენტი. — რუსებმა პროგრამის ყველა სახეობაში ბრწყინვალე გუნდი გამოიყვანეს... ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრა".

ნორვეგიის გაზეთ „არბაიდერბლადეტის" კომენტატორი საბჭოთა გუნდის წარმატების მიზეზად მატჩისთვის სერიოზულ მომზადებას მიიჩნევს. საბჭოთა მძლეოსან ვაჟთა ყველაზე დიდ ტრიუმფად გაზეთს მიაჩნია 4×100 მ ესტაფეტაში გამარჯვება.

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

სპორტული კალეიდოსკოპი

მარყუჟის ოსტატები

საკორდო ავიამოდელების სარეკორდო ფრენისას „კონსტრუქტორებს“ ნებისმიერი საწვავის გამოყენების უფლება აქვთ. და ის, ვინც უკეთესად შეარჩევს მას, ვინც ძრავისთვის საწვავის მიწოდებას უკეთ მოაწესრიგებს, ცხადია, მაღალ შედეგებსაც მოიპოვებს. ჩემპიონატებში კი ამგვარი რამ დაუშვებელია. აქ ყველა ერთი მარკის ბენზინით სარგებლობს, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის მოდელის ავტორის ოსტატობას.

თბილისელი მაყურებელი ორ დღეს ტკბებოდა სწრაფმავალი მოდელების ტურნირით. 33 საუკეთესო ნამუშევარი აცხადებდა პრეტენზიას ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობაზე. ყოველმა მოდელმა, რომელსაც ცენტრთან 15,92 მ სიგრძის კორდი აკავშირებს, 100-მეტრიანი წრე 10-ჯერ უნდა „შემოხაზოს“.

ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოველი სპორტის ოსტატი მოსიაკოვი ამ პირველობისთვისაც გულმოდგინედ მომზადებულა. მისმა პაწაწინა ნამუშევარმა I ტურში ეს ტრასა 15,6 წამში დაფარა და საათში 219 კმ სისწრაფე განავითარა. მისი მაჩვენებელი სხვათა ორიენტირი გახდა. მართალია, 200 კილომეტრს ბევრმა გადაამეტა, მაგრამ მოსიაკოვს — ვერავინ. მას მხოლოდ რსფსრ-ს გუნდის წევრის ქუბრიაკოვის მოდელი მიუახლოვდა — 214 კმ საათში.

საქართველოდან ორი სპორტსმენი გამოდიოდა. შარშანდელი საკავშირო პირველობის პრიზიორმა ტოკარევმა I ტურში 192 კილომეტრს (VIII ადგილი) მიაღწია, სერგეევის მოდელმა კი 178 კმ განავითარა.

გუშინ გაიმართა II და III გადამწყვეტი ტურები.

ავიამოდელისტთა საკავშირო პირველობა

II ტურში თავი ისახელა ლაპინინმა (რსფსრ). მისმა მოდელმა საათში 216 კმ სისწრაფე განავითარა და სპორტსმენი მეორე ადგილზე გადაიყვანა. მისი თანაგუნდელი ქუბრიაკოვი იძულებული გახდა ერთი საფეხურით ჩამოქვეითებულიყო სატურნირო ცხრილში. „მადა ჭამაში მოდისო“ და წარმატებამ ლაპინინსაც გაუღვიძა მადა. მას განაღდებული ჰქონდა მეორე ადგილი და მესამე ტურში იერიში მიიტანა მოსიაკოვის მაჩვენებელზე. საკმარისი იყო ლაპინინს თუნდაც გაემეორებინა იგი (219 კმ), რომ ჩემპიონობაც მას დარჩენოდა, ვინაიდან ერთნაირი შედეგების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ სპორტსმენს, რომელსაც უკეთესი მაჩვენებლები აქვს სხვა ტურებში. აქ კი მოსიაკოვი ვერაფრით დაიკვეხნიდა—II და III ტურებში „0“ მიიღო. ლაპინინს ოქროს მედლამდე 0,1 წამი დააკლდა. მან 218 კილომეტრის განვითარება შეძლო. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსიაკოვი — 219 კმ საათში, 2. ლაპინინი — 218 კმ, 3. ქუბრიაკოვი — 214 კმ. ჩვენი სპორტსმენები ათეულის მიღმა დარჩნენ.

გუშინ დამთავრდა შეჯიბრება უმაღლეს პილოტაჟშიც. „თვითმფრინავები“ ჰაერში ასრულებდნენ ისეთ ურთულეს ფიგურათა კომპლექსს, როგორიცაა სტარტი, აფრენა, ორმაგი ბრუნი გორაკზე, სამი ნორმალური მარყუჟი, ფრენა ზურგზე, ორი კვადრატული მარყუჟი, ორი სამკუთხოვანი მარყუჟი, ორი ჰორიზონტალური „რვიანი“, „სილის საათი“, თავს ზევით ორი „რვიანი“ და სხვ. (ფიგურათა განაცხადს სპორტსმენი წინასწარ უდგენს მსაჯთა კოლეგიას). შეჯიბრებაში დაიშვებიან მხოლოდ ისეთი მოდელები, რომელთა ძრავის მოცულობა არ აღემატება 10 კბ სმ-ს, ხოლო კორდის სიგრძე 21,5 მეტრია. შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდა მოსკოველი სიროტკინი, რომელმაც წინა დღეს უკვე მოასწრო სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის დასაკუთრება ასლებით ტურნირში.

სიროტკინის მოდელი ტყვიასავით ჰკვეთდა ჰაერს და მონა-მორჩილივით ასრულებდა სპორტსმენის ყველა ჩანაფიქრს. განსაკუთრებით ეფექტური იყო მისი ორმაგი მარყუჟების კასკადი. I ტურში 23 მონაწილიდან მან ყველაზე მეტი — 1017 ქულა მიიღო. სიროტკინს სხვებზე მეტად მიუახლოვდა უკრაინელი კონდრატენკო — 958, რომელსაც 30 ქულით ჩამორჩა ლატვიელი პლოცინი. 900 ქულას „გადააბიჯა“ კიდევ ერთმა — ბელორუსიელმა ტაუტკომ — 904. ანდრონენკომ (საქართველო) მხოლოდ 266 ქულა დაიმსახურა (XV ადგილი), მაგრამ მეორე ტურში ერთ-ერთი მარყუჟის შესრულებისას ვერ მოზომა და „თვითმფრინავი“ მიწაზე დაანარცხა.

II ტურში ლიდერები ფრთხილობდნენ. სიროტკინი ამჯერადაც მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა აღმოჩნდა (996 ქულა) მაშინ, როცა კონდრატენკომ 50 ქულით ნაკლები მოიპოვა. პრიზიორები გამოვლინდნენ III ტურში. ოქროს მედალი მოიპოვა სიროტკინმა, ვერცხლისა — პლოცინმა, ბრინჯაოსი — კონდრატენკომ.

ო. გელაშვილი.

პელე: „მე ომს ვუცხადებ „ბეტონს“

აფრიკასა და ევროპაში ჩატარებული ტურნეს შემდეგ ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები სამშობლოში დაბრუნდა. ბრაზილიელთა განთქმული ფორვარდი პელე მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ ესაუბრა იქაურ ჟურნალისტებს. ბრაზილიისა და ევროპის პრესაში ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით: „მე ომს ვუცხადებ „ბეტონს“. იგი ერთობ მრავლისმეტყველია. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელებმა თითქმის ერთიდაიგივე შემადგენლობით ჩაატარეს 7 საერთაშორისო შეხვედრა: 3 თავიანთ სამშობლოში — ბელგიასთან (5:0), გფრ-თან (2:0), არგენტინასთან (0:0) და 4 შეხვედრა ოკეანის გაღმა — ალჟირთან (3:0), პორტუგალიასთან (0:0), შვეციასთან (2:1) და სსრ კავშირთან (3:0).

განსაკუთრებით ვრცელი კომენტარი ჰქონდა ბრაზილიელთა მატჩს არგენტინასთან. მან ცხადყო, რომ არგენტინული „ბეტონი“ სრულიადაც არ ჩამორჩება ევროპულს და ბრაზილიელებმა, თავიანთი უმაღლესი ტექნიკის მიუხედავად, ვერ შეძლეს მისი დაძლევა. გავიხსენოთ ბრაზილიის ნაკრების შარშანდელი წარუმატებლობა ე. წ. „მსოფლიოს მცირე თასში“, როცა გუნდმა ინგლისელებისა და პორტუგალიელთა იოლი დამარცხების შემდეგ საკუთარ მინდორზე სასტიკი ფიასკო განიცადა არგენტინელთაგან (0:3).

პელეს ინტერვიუ ძირითადად ეძღვნება თანამედროვე ფეხბურთის ერთ დიდსა და მტკივნეულ პრობლემას, ე. წ. დაცვითს ავადმყოფობას, რომელიც ევროპულ ფეხბურთში მძვინვარებს. აი, რა თქვა პელემ:

— იმ ფაქტმა, რომ ჩვენ მივაგენით ახალ ბირთვს დაცვითი ეშელონისთვის, მაშინვე კვლავ წინა ხაზზე წამოვწია ფორვარდები. კითხეთ რუსებს, მართალია თუ არა ის, რომ მათ ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტად ჩვენ მივაჩნივართ მსოფლიო ჩემპიონთა გვირგვინზე. ვინ, თუ არა ისინი, ერკვევიან ევროპის საფეხბურთო ძალთა მდგომარეობაში. ჩვენმა გამარჯვებებმა შვეციასა და მოსკოვში ფართო რეზონანსი ჰპოვა... მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში ვინც უნდა იყვნენ ჩვენი მეტოქენი, ჩემს ამხანაგებსა და მე, ალბათ, მოგვიხდება ორთაბრძოლაში ჩაბმა „ბეტონის“, „ბოქლომის“ და სხვა მაგვარი „დაცვითი ფეხბურთის“ სისტემების წინააღმდეგ. ისმება კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე ფორმულა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ბოროტების დაძლევა. მე არც თვალთმაქცი ვარ და, მით უმეტეს, არც მისანი, მაგრამ, ვფიქრობ, ერთადერთი ტაქტიკა, რომელსაც შეუძლია დაძლიოს „ბეტონი“, ესაა შეტევა.

შეიძლება ბევრმა ეს აღიარებულ ჭეშმარიტებად ჩათვალოს, მაგრამ ჭეშმარიტებაც პირობითი ცნებაა. ჩვენი გუნდი აპირებს აწარმოოს განუწყვეტელი შეტევები ფლანგებსა და ცენტრში, რათა ფიზიკურად დაქანცოს, სიქა გააცალოს, მორალურად შეარყიოს ბეტონირებული დაცვა, შემდეგ დაამსხვრიოს იგი და გახსნას გზა კარისკენ.

ჩვენში, ბრაზილიურ ფეხბურთში, არის ასეთი ტექნიკური ტერმინი „არანკადა“. ეს თავისებური ტაქტიკური ხერხია, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: გუნდი, რომელიც დაეუფლება ბურთს, იწყებს თამაშის ტემპისა და რიტმის თანდათან მომძლავრებას, საფეხბურთო აქსელერატორის პედალი თანდათან ბოლომდე დაიყვანება. ამასთან, რაც უფრო ახლოა მეტოქის კარი, მით უფრო მატულობს შეტევის სისწრაფე და ფართოვდება მისი ფრონტი.

„არანკადის“ ძალა მდგომარეობს არა მარტო მის ტექნიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაშიც. თვითეული თავდამსხმელი (ეს შეიძლება იყოს ნახევარმცველიც და მცველიც) თამაშობს თავის ოპონენტთან „ერთი-ერთზე“ და საჭიროების შემთხვევაში ცდილობს წაიყვანოს იგი თავისი დასაცველი ზონიდან შორს. ასეთი ტაქტიკა აუცილებლად შექმნის რომელიმე მომენტში, თუნდაც ერთი წამით, თავდამსხმელთა რიცხობრივ უპირატესობას. ეს კი საკმარისია წარმატების მისაღწევად.

და თუ ამ მანევრს შეასრულებ ხუთჯერ, ექვსჯერ და უფრო მეტჯერაც, რათა მოწინააღმდეგეს არ მისცე გონს მოსვლის, გადაჯგუფების, დაცვითი ბირთვის შეკვრის საშუალება, რაც ასე პოპულარულია ევროპაში და ჩვენს კონტინენტზეც, „ლიბერო“ (ასე უწოდებენ იტალიელები „მწმენდელს“) შეიძლება გამოუყენებლობის გამო გასახდელში გაგზავნო. ასეთი „ანტიბეტონის“ განხორციელება არც ისე იოლია. ეს მოითხოვს უდიდესი ფიზიკური და სულიერი რესურსების დახარჯვას, მაღალ ტექნიკურ ოსტატობას, და ბოლოს, მოითხოვს სითამამეს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, „ბეტონს“ მუდამ თან ახლავს უხეშობა და ბინძური თამაში მცველთა მხრივ. მხოლოდ დაცვის დიდოსტატს შეუძლია ნებადართული წესებით გაუმკლავდეს ტექნიკურ ფორვარდს.

ვიმეორებ, „ბეტონის“ მსხვრევა საჭიროა საუკეთესო ფიზიკურ მომზადებაზე გამრავლებული გაერთიანებული ტექნიკური და ტაქტიკური ძალებით.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს ინგლისში ჩავიდეთ (როგორც ეს ადრე იყო შვეციასა და ჩილიში) საუკეთესო სპორტულ ფორმაში.

არ იფიქროთ, რომ ეს გეგმა ყურადღების მიღმა ტოვებს საკუთარი კარის დაცვის ტექნიკურ ორგანიზაციას.

უმაღლეს ფეხბურთში არ არსებობს ე. წ. ცალმხრივი მიმართულების თამაში. ჩვენც გვიწევს კარის დაცვა არა მარტო 4, არამედ 6 და 8 მოთამაშის შემადგენლობითაც, როცა ამას ვითარება მოითხოვს. მაგრამ ეს სისტემა თავისი შინაარსით ისე არა ჰგავს „ბეტონს“, როგორც მზე — მთვარეს.

ყველამ ნახა, რომ დაცვიდან თავდასხმაში და პირიქით გადასვლისას ჩვენი განაპირა მცველები და გარემარბები თითქოს ერთმანეთში ადგილებს იცვლიან და ქმნიან რიცხობრივ უპირატესობას ხან წინა ხაზზე, ხან დაცვაში.

ჩვენ შევეცდებით დავამარცხოთ „ბეტონის“ აპოლოგეტები მათივე ზონაში, მათ მიერ მასირებული დაცვისთვის არჩეულ მონაკვეთში.

სხვადასხვა საფეხბურთო სკოლისა და ტაქტიკური სისტემის წინააღმდეგ მიღებულმა გამოცდილებამ, რომელიც მსოფლიოს ორი ჩემპიონატის შუალედში შევიძინეთ, ბევრი რამ გვასწავლა და თვალი აგვიხილა. მან თვალსაჩინო წარმოდგენა შეგვიქმნა „ბეტონზე“, რომლის პირველი ნიშნები გამოჩნდა არა გუშინ, არამედ მაშინ, როცა ჩვენ პირველად გამოვედით სისტემით 1 + 4 + 2 + 4. ინგლისში შევეცდებით არა მარტო საბოლოოდ მოვიპოვოთ ჟიულ რიმეს თასი, — პირადად მე ამაზე ვოცნებობ, — არამედ აღვადგინოთ ფეხბურთის რეპუტაციაც, დავუბრუნოთ მას სილამაზე, მომხიბვლელობა, რათა მაყურებელმა, რომელმაც სამმაგად გადაიხადა ადგილის ფასი, სრული კმაყოფილება მიიღოს საკმარისი რაოდენობით გატანილი ბურთების სახით.

(„ფუტბოლი“. № 31).

* * *

სურათზე: განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი პელე თავის საცოლესთან ერთად.

ახალი ამბები

● **ბლედი,** 3 აგვისტო. ტალ—ლარსენის მატჩის VII პარტიაში, ისევე როგორც მესამეში, გათამაშდა ინდური დაცვა. ლარსენმა (თეთრები) მე-13 სვლაზე სხვა გაგრძელება აირჩია. შუა თამაშში ტალმა რამდენიმე შეწირვა განახორციელა და უაღრესად გაართულა ბრძოლა. დანიელი დიდოსტატი გონებამახვილურად იცავდა თავს, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ გაათანაბრა პოზიცია. პარტია გადაიდო. სპეციალისტების აზრით, ლარსენს აქვს ყაიმისთვის ბრძოლის შანსები.

● **რიგა,** 3 აგვისტო. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე VIII ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამოირკვნენ ქალთა და ვაჟთა ერთეულთა შეხვედრების ფინალისტები. ლეიუსმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი პალა — 6:1, 6:4, 6:3. ეგოროვმა მოუგო შეჯიბრების მეორე ფავორიტს — თბილისელ მეტრეველს — 4:6, 7:5, 6:2, 5:7, 7:5. ამრიგად, ფინალში ერთმანეთს ხვდებიან ლეიუსი და ეგოროვი. ქალთა ფინალში გავიდნენ ესტონელი კული და ჩეხოსლოვაკიელი ლენდლოვა.

ორი ლიდერი

სინაია (რუმინეთი). სტუდენტთა საჭადრაკო მსოფლიო ოლიმპიადის ფინალური ასპარეზობის I ტურში საბჭოთა სპორტსმენები ჩეხოსლოვაკიელებს შეხვდნენ. ორივე გუნდის მოჭადრაკენი პირველობის ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან და ბუნებრივია მათ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

საბჭოთა მოჭადრაკეებს თავდაპირველად ცუდად წაუვიდათ საქმე: სოდოსმა წააგო კოვალეკთან, ხოლო კაპენგუტმა — სმეიკალთან. გადადებული პარტიების დამთავრებისას სავონმა და მნაცაკანიანმა იხსნეს ჩვენი გუნდი მარცხისაგან. პირველმა მოუგო ჰორტს, ხოლო მეორემ — იანსას.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ისრაელი — ჰოლანდია 4:0, ინგლისი — გდრ 2,5:1,5, უნგრეთი — დანია 2,5:1,5.

II ტურში საბჭოთა სტუდენტები უნგრელებს შეხვდნენ. სავონმა დაამარცხა კოვაჩი, ხოდოსმა — პოლგარი, მნაცაკანიანმა — ტომპა, ანოშინმა — პერეცი.

ჩვენებს არც ჩეხოსლოვაკიელები ჩამორჩნენ. მათაც 4:0-ზე მოუგეს ჰოლანდიელებს.

დანარჩენმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: დანია — ინგლისი 2,5:1,5, რუმინეთი — გდრ 2:1 (1 პარტია გადადებულია).

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკეები — 6-6 ქულა 8-დან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). **4 აგვისტო** — დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 19 ს. **5 აგვისტო** — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 20 ს. წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლშემადგენლობათა მატჩი შედგება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ავიასამოდელო სპორტი. იპოდრომი. 4 აგვისტო. საკავშირო პირველობა. დასაწყისი 10 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-98-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11950